



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1877

09 / დეკემბერი / 2019 წ.



KA000090277973719

ქალაქ ფოთში, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 04.02.07.628) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 114-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, 2019 წლის 05 დეკემბრის, N 1/1-6602 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მუხლი 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდეს, ქალაქ ფოთში, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე 3010.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 04.02.07.628), დამატებითი ქონების სახით.

მუხლი 2. ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონება.

მუხლი 3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გონა კურდღელია